

დამტკიცებულია

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს

2007 წლის 31 ა.შ.

№ 7/34 განკარგულებით

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
ბიბლიოთეკის

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის ბიბლიოთეკა (შემდგომ ტექსტში „ბიბლიოთეკა“) არის ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
 2. ბიბლიოთეკის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ასევე სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, დოკუმენტები და წინამდებარე წესდება.
 3. ბიბლიოთეკა არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია ბეჭედი, შტამპი თავისი დასახელების მითითებით და ანგარიში ბანკში.
2. ბიბლიოთეკის იურიდიული მისამართია: ქალაქ ფოთი, წმ. ნინოს №6--

მუხლი 2. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის.
2. შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცემის საშუალებით.
3. მოსახლეობის ყველა ფენის (მათ შორის ბავშვთა და მოზარდთა) მომსახურება საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით.
4. სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობის კოორდინაცია და მეთოდური დახმარება.

5. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:
 - ა) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;
 - ბ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
 - გ) ინფორმაციული ხელმისაწვდომობა და შეუზღუდაობა;
 - დ) ოპერატიულობა;

მუხლი 3. უფლებები და მოვალეობანი

1. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია განაგოს საკუთარი სახსრები საქართველოს კანონმდებლობისა და ბიბლიოთეკის წესდების საფუძველზე.
 2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში წარმოადგინოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დასაბუთებული პროგრამა;
 3. მონაწილეობა მიიღოს საგანმომცემლო და საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრაში;
 4. მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას;
 5. ითანამშრომლოს უცხოეთის ბიბლიოთეკებთან, გახდეს საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებათა წევრი;
 6. ეწეოდეს კანონით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.
- ბიბლიოთეკა ვალდებულია:
7. თავისი საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
 8. დაიცვას სახელმწიფო სტანდარტები;
 9. სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდები პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და ოპერატიულად უზრუნველყოს მათი ასახვა გაერთიანების საცნობარო-საძიებო საშუალებებში;
 10. გაუცვალოს სხვა ბიბლიოთეკებს ზედმეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტები;
 11. უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და საბიბლიოთეკო რესურსების კოოპერირების საფუძველზე.
 12. შეადგინოს და გააცნოს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.
 13. აწარმოოს კოორდინირებული მუშაობა რეგიონის ბიბლიოთეკებთან საბიბლიოთეკო რესურსების გეგმაზომიერი გამოყენებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის.
 14. აწარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა საქართველოში დადგენილი წესით.
 15. საბიბლიოთეკო-სამეცნიერო გამოკვლევების ხელშეწყობის მიზნით ეწეოდეს დამატებითი საბიბლიოთეკო მონაცემების ობიექტურ აღრიცხვას.
 16. გაითვალისწინოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და შესაბამისი მეთოდცენტრების რეკომენდაციები.

(მუხლი 4. ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მართვა

1. ბიბლიოთეკის სტრუქტურაში შედის:
 - ა) მთავარი ბიბლიოთეკა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებით.
 - ბ) საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალები სხვადასხვა პროფილის (მასობრივი, საბავშვო, სპეციალიზირებული).
2. ბიბლიოთეკის საქმიანობის მართვა ხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მიერ დანიშნული მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორის მეშვეობით.
3. ბიბლიოთეკა-ფილიალების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ნიშნავს და ანთავისუფლებს მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერთან შეთანხმებით.

4. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მუშაკთა საშტატო ნუსხას.
5. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიბლიოთეკების მართვაში ბიბლიოთეკართა და მკითხველთა საზოგადოებრივ და პროფესიულ ბიბლიოთეკაში მონაწილეობის გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის დაფინანსება და ქონება

1. ბიბლიოთეკის დაფინანსების წყაროა საბიუჯეტო ასიგნება, ადგილობრივი სუფსიდიები, საქველმოქმედო შეწირულობანი, აგრეთვე კანონით ნებადართული სხვა ფასიანი შემოსავალი.
2. ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად ანაწილებს და იყენებს ფინანსურ რესურსებს.
3. მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება ხდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებიდან.
4. ფინანსური რესურსების განაწილება-გამოყენება განხორციელდეს შემდეგნაირად:
 - ა) ხელფასის ფონდი-სახელმწიფოს მიერ დაწესებული სოციალური დაცვის მინიმუმის გარანტირებული უზრუნველყოფით.
 - ბ) დადგენილი წესით სხვადასხვა ფონდებში აუცილებელი ანარიცხების გადარიცხვა.
 - გ) განვითარების ფონდი გაერთიანობის მატერიალურ-ტექნიკური და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების უზრუნველყოფისათვის.
 - დ) მატერიალური წახალისების ფონდი.
 - ე) სამეურნეო საქმიანობის ფონდი.
5. ბიბლიოთეკის ქონება შედგება თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა ძირითადი საშუალებებისაგან, რომელიც მას დროებით ან მუდმივ სარგებლობაში გადასცა თვითმმართველი ქალაქ ფოთის ერთეულმა. გაერთიანების ქონება ირიცხება მის ბალანსზე მისი ზომითა და ფასით.

მუხლი 6. მუშაობის ორგანიზაცია

1. ბიბლიოთეკა არის საქართველოს კულტურის სისტემაში შემავალი და თვითმმართველი ქალაქის მერიას დაქვემდებარებული დამოუკიდებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაცია.
2. იგი რეგისტრაციაში ტარდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი და ეროვნულ-კულტურული ტრადიციები.
4. ბიბლიოთეკა ანხორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული უნივერსალური და სხვა უწყებების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციას. რაც ითვალისწინებს ბიბლიოთეკების გეგმაზომიერ განლაგებას, წიგნადი ფონდების დაკომპლექტებისა და ურთიერთ გამოყენების გაუმჯობესებას, მკითხველთა საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებისა და მეთოდური მუშაობის სრულყოფას.
5. საუწყებათაშორისო სისტემის შექმნისას ბიბლიოთეკას შეუძლია ხელშეკრულებით განხორციელოს ლიტერატურის დაკომპლექტება-დამუშავება სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის.

6. ბიბლიოთეკის უნივერსალური პროფილის წიგნადი ფონდი განკუთვნილია მკითხველთა ყოველმხრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.
7. წიგნად ფონდს აკომპლექტებს მთავარი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ფილიალებისათვის ლიტერატურის დროულად მიწოდებას.
8. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფორმირება ხდება სხვა უწყებებისა და ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკებთან კოორდინაციით.
9. გაერთიანების წიგნის ფონდი უნივერსალურია და შეიცავს ქალაქის სპეციფიკის შესაფერის ლიტერატურას.
10. ბიბლიოთეკის მთელი ქალაქის, ფარგლებში ეწევიან ლიტერატურის ფართო მასობრივ და ინდივიდუალურ პროპაგანდას, ამ მიზნით იყენებენ ადგილობრივ ტელევიზიას, რადიოს, პრესას, მასობრივ ღონისძიებებსა და მუშაობის სხვა ფორმებს, ესმარებიან მკითხველებს წიგნების შერჩევასა და მათზე მუშაობაში.
11. ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკა ეწევა 1-8 კლასის მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მომსახურებას და კოორდინაციას უწევს სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობას.
12. ბიბლიოთეკა გამოსცემს და ყველა ფილიალებს, ცალკეულ მკითხველებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს უგზავნის „ახალი წიგნების ბიულეტენებს“ „ადგენს ლიტერატურის სარეკომენდაციო და საინფორმაციო სიებს. აწარმოებს კატალოგებს, კარტოთეკებს, ქმნის საცნობარო ფონდს.
13. ბიბლიოთეკასთან შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სახის კლუბები.

მუხლი 7. ბიბლიოთეკის მუშაკთა მოვალეობანი

1. ბიბლიოთეკის მუშაკები ვალდებული არიან:
 - ა) პატიოსნად, კეთილსინდისიერად, შემოქმედებითად, ინიციატივიანად იშრომონ, გაუფრთხილდნენ ბიბლიოთეკის ღირსებას, პირადი მაგალითით დაამკვიდრონ მაღალი პრინციპები, საზოგადოების შემდგომი ეკონომიკური სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი პროგრესის მიზნით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბიბლიოთეკების ფონდების სრული და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფას.
 - ბ) მკითხველებს საშუალება მისცენ ისარგებლონ ბიბლიოთეკების ფონდებით, მიიღონ ზომები ბიბლიოთეკებში მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მოზიდვისათვის სრულყოფილ მოსახლეობის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების, წიგნის პროპაგანდის ფორმები და მეთოდები, შეასრულონ (დაიცვან) წიგნადი ფონდების აღრიცხვის და დაცვის გამოყენების დადგენილი წესები.
 - გ) დაიცვან შრომის დისციპლინა, დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებები, გამოიყენონ მთელი სამუშაო დრო ნაყოფიერი შრომისათვის.
 - დ) დაიცვან შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნილებები.
 - ე) სამუშაო ადგილზე დაიცვან წესრიგი და სისუფთავე.

მუხლი 8. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა

1. ბიბლიოთეკის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს დირექტორი, რომელიც ამავე დროს არის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი.

2. დირექტორს ჰყავს მოადგილე ბავშვთა შორის მუშაობის დარგში, რომელიც ამავე დროს არის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეც.
3. დირექტორი მისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტს ყველა სახკითხს, რომელიც დაკავშირებულია ბიბლიოთეკის საქმიანობასთან.
4. დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:
 - ა) საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ანგარიშების დამტკიცება;
 - ბ) შიგაგანაწესის დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა;
 - გ) ბიბლიოთეკის ქონებისა და საშუალებების დაცვა;
 - დ) საწარმოო სანიტარიის, შრომისა და ტექნიკური უსაფრხოების ნორმების დაცვა.
5. დირექტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ბიბლიოთეკის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. მის კომპეტენციას განეკუთვნება:
 - ა) გამოსცეს ბრძანებები კომპეტენციის ფარგლებში;
 - ბ) გასცეს მინდობილობები;
 - გ) დაამტკიცოს ბიბლიოთეკის სტრუქტურული ქვედანაყოფების სამუშაო გეგმები და ანგარიშები.
 - დ) მართოს ბიბლიოთეკის ფინანსები;
 - ე) მართოს და განაგოს ბიბლიოთეკის ქონება ამ წესდების პირობებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში;
 - ვ) მიიღოს და გაათავისუფლოს ბიბლიოთეკის მუშაკები საქართველოს შრომის კოდექსისა და ამ დებულების შესაბამისად;
 - ზ) ბიბლიოთეკის სახელით დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს დამქირავებლად.

მუხლი 9. საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგება

1. ბიბლიოთეკის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
2. ბიბლიოთეკის დირექტორი და მთავარი ბუღალტერი კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებული არიან სრულად დაიცვან ანგარიშგების აღრიცხვის წესი.

მუხლი 10. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე



[Handwritten signature]

დავით შურღაია